ხელშეკრულება № 1/14

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.წალკა 14 თებერვალი 2019 წელი

ერთი მხრივ წალკის მუნიციპალიტეტი (შემდგომში- შემსყიდველი), მუნიციპალიტეტის მერის ილია საბაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ჯეოსპორტი" (თბილისი, ამბროლაურის ქ 166, კ 6, ბ. 24, ს/კ. 205272989) (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის მიხეილ ზვიადაძის სახით, ვხემძვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. ხელშეკრულების ობიექტია საქონელი, რომელიც მოიცავს წალკის მუნიციპალიტეტისათვის სპორტული ტანსაცმლის მიწოდებას (CPV 18412000) , იხ. დანართი 1.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2081** (ორი ათას ოთხმოცდაერთი) ლარს.

3.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

5.2. მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

5.3. მიწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 28 თებერვლის ჩათვლით, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად.

5.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენას.

6. შესყიდვის ობიექტის მირება ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებით (მიღება-ჩაბარების აქტი, ან შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტი), შემსყიდველისა და მიმწოდებელის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მირება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წალკის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

7.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

7.3. მიღება- ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი საჭიროების შემთხვევაში ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხი;

-მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

-წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის შემოწმების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

-უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

-მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

-დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

-გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

9.5. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.

9.6. შემსყიდველი იტოვებს ვალდებულია ,,9.5.“ პუნქტიდან გამომდინარე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 10 კალენდარულ დღეში მის მიერ ვადების დაღვევის შესახებ და გაუუქმოს ხელშეკრულება.

9.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეურულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი დადების (გაფორმების) დღიდან 2019 წლის 30 დეკემბრამდე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრივალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობით შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული ობიექტის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობასა და წუნდების მიზეზების მითითებით.

15.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელსეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

წალკის მუნიციპალიტეტი	შპს ,,ჯეოსპორტი“
მის. ქ. წალკა არისტოტელეს 22	თბილისი, ამბროლაურის ქ N166, კ 6, ბ24
ს/კ 243125934	ს/კ 205272989
ა/ა GE05LB01201625465200001ს/ს	ა/ა GE83BG0000000262769600
,,ლიბერთი ბანკი“	ს/ს ,,საქართველოს ბანკი“
ბ/კ LBRTGE22	ბ/კ BAGAGE22
წალკის მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი
ილია საბაძე	მიხეილ ზვიადაძე

TSALKA MUNICIPALITY Digitally signed by TSALKA MUNICIPALITY Date: 2019.02.14 14:19:18 +04'00'

Geosport LTD Digitally signed by Geosport LTD Date: 2019.02.14 10:48:57 +04'00'

დანართი 1

სპორტული ტანსაცმელი
CPV – 18412000

#	საქონლის დასახელება	განზ. ერთ	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი (ლარი)
1	2	3	4	5	6
2	ფუტსალის (ბიჭები) სათამაშო ფორმა, (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით + ერთი მწვრთნელის	კომპ	13	25	**325**
3	კალათბურთის (ბიჭები) სათამაშო ფორმა, (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით+ ერთი მწვრთნელის	კომპ	5	32	**160**
4	კალათბურთის (გოგონები) სათამაშო ფორმა, (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით+ ერთი მწვრთნელის	კომპ	5	32	**160**
5	კროსი (ბიჭები)ფორმა (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით	კომპ	7	20	**140**
6	კროსი (გოგონები)ფორმა (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით+ ერთი მწვრთნელის	კომპ	7	20	**140**
7	მაგიდის ჩოგბურთის (ბიჭები) ფორმა (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით+ ერთი მწვრთნელის	კომპ	5	22	**110**
8	მაგიდის ჩოგბურთის (გოგონები) ფორმა (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით+ ერთი მწვრთნელის	კომპ	5	22	**110**
9	ფრენბურთის (ბიჭები) ფორმა (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით+ ერთი მწვრთნელის	კომპ	13	25	**325**
10	ფრენბურთის (გოგონები) ფორმა (მაისური - შორტი) ნომრით და ლოგოტიპით+ ერთი მწვრთნელის	კომპ	13	25	**325**
11	მხიარული სტარტები - ფორმა (მაისური - შორტი) ლოგოტიპით+ ერთი მწვრთნელის	კომპ	13	22	**286**
13	ჯამი				**2081**